7918/3-81/22 2 30082022

7918/3-81/22
30-08-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

ბ-ნ რატი ბრეგაძეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით, რომელზეც, რეგლამენტის მიხედვით, დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

ა.წ. აგვისტოში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ევროპის საბჭოს ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) წევრობის კანდიდატის შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა. იმ პირობებში, როდესაც საბჭოს მოქმედ წევრს საქართველოდან, მოსამართლე ნინო ბაქაქურს, ჯერ არ ამოსწურვია უფლებამოსილების ვადა, გთხოვთ, განმარტოთ:

1. რა მიზეზით გამოაცხადეთ კონკურსი ახალი წევრის შესარჩევად ?
2. რა სამართლებრივი საფუძვლით გამოაცხადეთ კონკურსი პოზიციის დასაკავებლად, როდესაც სამართლებრივი თვალსაზრისით, აღნიშნული პოზიცია არ არის ვაკანტური?
3. რა სამართლებრივი საფუძვლით აპირებთ შეუწყვიტოთ უფლებამოსილება ვადაზე ადრე უკვე დანიშნულ წევრს?
4. თუ მიგაჩნიათ, რომ მოქმედი წევრის დანიშვნის პროცედურა იყო არალეგიტიმური ან შეიცავდა იმდენად მნიშვენლოვან ხარვეზებს, რომ ეს სამართლებრივ საფუძველს გაძლევდათ გამოგეცხადებინათ ახალი კონკურსი, თვლით თუ არა, რომ ამაზე პასუხი უნდა გასცეს თქვენმა წინამორბედმა, ამჟამინდელმდა კულტურის მინისტრმა - თეა წულუკიანმა?

5. თქვენს მიერ შესარჩევი კომისიის დაკომპლექტებისას, რომელშიც მხოლოდ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რა დოკუმენტით, პრინციპით ან სტანდარტით იხელმძღვანელეთ? კერძოდ, კომისიის შემადგენლობაში არ შეიყვანეთ არც დამოუკიდებელი კონსტიტუციური უწყება (მაგ. ომბუცმენი), არც სამოქალაქო საზოგადოების, არც აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

შედარებისთვის გეტყვით, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში კანდიდატის შესარჩევი კონკურსის კომისია, მიუხედავად მუშაობის პროცესში დაფიქსირებული არაერთი ხარვეზისა, შემადგენლობის მხრივ გაცილებით მეტად იყო დემოკრატიულ პრინციპეზე დაფუძნებული; კერძოდ, მის შემადგენლობაში შედიოდა როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ასევე სახალხო დამცველი, ადვოკატთა ასოციაციის და აკადემიური წრეების წარმომადგენელი.

ასევე, მაგალითად, წამების საწინააღმდეგო კომიტეტში კანდიდატის შერჩევისას შესაბამისი საპარლამენტო კომისიის მუშაობაში ჩართული იყო როგორც საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, ასევე გასაუბრებები გადაიცემოდა საჯაროდ და ხელმისაწვდომი იყო ყველა დაინტერესებული პირისთვის.

6. რატომ არ თვლით საჭიროდ გასაუბრების პროცესი კანდიდატებთან იყოს საჯარო ?
7. რა ეტაპზეა კონკურსი ახლა, ჩატარდა თუ არა გასაუბრებები და შეირჩა თუ არა კანდიდატი?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი